თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი

ბრძანება

01 აპრილი 2020 წ. თბილისი № 48/01.

საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 მარტის N 205 დადგენილების და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის საფუძველზე, საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის განხორციელების მიზნით,

ვბრძანებ:

1. საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში სასწავლო პროცესი, დადგენილი წესით, წარიმართოს დისტანციურ რეჟიმში, ელექტრონული ფორმით.
2. დაევალოს შესაბამის სამსახურებს (ინფრასტრუქტურის დეპარტამენტს (მ.რობაქიძე), საინფორმაციო ტექნოლოგიების (IT) სამსახურს (გ.დონაძე)) უზრუნველყონ ელექტრონული სწავლების შერჩეული აპლიკაციის/პლატფორმის გამართულად გამოყენება, რომლითაც შესაძლებელია სასწავლო პროცესის ინტერაქტიულად წარმართვა.
3. უზრუნველყოფილ იქნეს, საგანგებო მდგომარეობის მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ, უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა დისტანციური სწავლების მიღმა დარჩენილი სტუდენტებისათვის.
4. დაევალოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს (ი.კვაჭაძე) 2020 წლის 07 აპრილამდე, სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, წერილობითი ფორმით მიაწოდოს ინფორმაცია სასწავლო პროცესის დისტანციური/ელექტრონული ფორმით განხორციელების, მათ დაგეგმვის, სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და ადმინისტრირებისათვის საჭირო მიდგომებისა და მეთოდების გამოყენების თაობაზე.
5. კოლეგიური ორგანოების (აკადემიური საბჭო, წარმომადგენლობითი საბჭო, ფაკულტეტების საბჭოების, სტუდენტთა თვითმმართველობის, სადისერტაციო

საბჭოების და სხვა) საქმიანობა განხორციელდეს დისტანციურად, საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობისა და თსსუ-ის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

6. თსსუ-ში დასაქმებული ყველა პირი გადაყვანილ იქნეს დისტანციური მუშაობის რეჟიმზე, გარდა იმ პირებისა, რომელთა საქმიანობის სპეციფიკა მოითხოვს თსსუ-ის ტერიტორიაზე ყოფნა/გამოცხადებას და მათი საქმიანობა განხორციელდეს საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი მითითებების/რეკომენდაციების დაცვით.
7. დაევალოთ ფაკულტეტების დეკანებს (თ.ჩიქოვანი, დ.თოფურია, ს.მღებრიშვილი, დ.ბერაშვილი, ი.მჭედლიშვილი, ლ.მასხულია) უზრუნველყონ წინამდებარე ბრძანების გაცნობა ყველა სასწავლო მიმართულებისა და დეპარტამენტისათვის.
8. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი განახორციელოს ვიცე-რექტორმა ხ.თოდაძემ.
9. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს (გ. ჭიჭინაძე) წინამდებარე ბრძანება განათავსოს თსსუ-ის ვებ-გვერდზე.
10. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
11. ბრძანება დაეგზავნოს: კანცლერს, ვიცე-რექტორებს, რექტორის აპარატის უფროსს, კანცლერის მოადგილეებს, ყველა სტრუქტურულ ერთეულს.

პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია
რექტორი